

### **37. საქართველოს პარლამენტის განცხადება, 1999 წლის 24 დეკემბერი.**

#### **საქართველოს პარლამენტის განცხადება**

საქართველოს პარლამენტი გამოხატავს გაკვირვებას და აღშფოთებას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 1999 წლის 21 დეკემბერს გაკეთებული განცხადების გამო. ოფიციალური მოსკოვი უკვე მერამდენედ უყენებს საქართველოს აბსოლუტურად დაუსაბუთებელ ბრალდებებს, რომ თითქოს საქართველოს ხელისუფლება ხელს უწყობს ჩეჩნეთის მხარეს შეიარაღებაში და ეხმარება მას ფინანსურად, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს.

საქართველოს მხარემ არაერთხელ გამოთქვა მზადყოფნა რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე მიეღო რუსეთის ფედერაციის დამკვირვებლები, რათა მის ხელისუფლებას თავად დაენახა საზღვარზე არსებული რეალური მდგომარეობა. მაგრამ რუსეთის მიერ გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურების გამო საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა საერთაშორისო დამკვირვებლების მოზიდვის მიზნით მიემართა ეუთოსათვის. ყოველივე ზემოაღნიშნული რუსეთის მხარისათვის არ აღმოჩნდა მისაღები, ვინაიდან მისი ნამდვილი მიზანი იყო საქართველოს ტერიტორიის სამხედრო პლაცდარმად გამოყენება ჩეჩნეთში საომარი ოპერაციის ჩატარებისათვის, რაც კატეგორიულად მიუღებელია საქართველოსათვის, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოსათვის. ამგვარი ქმედება უცილობლად გამოიწვევდა კანფლიქტის კერის გადმოტანას საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოსა და ზოგადად სამხრეთ კავკასიის ჩათრევას ამ ომში.

უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ ეუთოს დელეგაციამ დააფიქსირა საქართველოს ტერიტორიაზე ჩეჩენი მებრძოლების ყოფნა. ასეთი ფაქტი ეუთოს არცერთ მოხსენებაში არ არის აღნიშნული.

რუსეთის ბრალდება, თითქოს საქართველოს ხელისუფლება უმაღლეს დონეზე იღებს საქართველოში იჩქერიის წარმომადგენელს ხ. ალდამოვს, არ შეესაბამება სინამდვილეს. ამასთან, ამ თემაზე საუბარი უხერხულია იმ დროს, როცა მოსკოვში 1992 წლიდან იმყოფება აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის მუდმივი წარმომადგენელი ვინმე ახბა, რომელსაც ხშირი კონტაქტები და კონსულტაციები აქვს რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურების მაღალი რანგის პირებთან.

საქართველო ცნობს რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას, არ ერევა საშინაო საქმეებში და პატივს სცემს მის სუვერენიტეტს, რაც არაერთხელ დაადასტურა, მათ შორის, რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული ჩარჩო-ხელშეკრულების ცალმხრივი რატიფიკაციის აქტით.

საქართველო აღიარებს ტერორიზმთან და აგრესიული სეპარატიზმთან ბრძოლის აუცილებლობას და თვლის, რომ ეს ბრძოლა უნდა მიმდინარეობდეს ადეკვატური მეთოდებით, ვინაიდან შეუძლებელია ტერორიზმის აღმოფხვრა ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის განხორციელებით, რომლის დროსაც უმეტესწილად ზარალდება მშვიდობიანი მოსახლეობა.

საქართველო აღიარებს თანამედროვე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებსა და მოთხოვნებს და მიუხედავად ქვეყანაში არსებული 30 ათასი ლტოლვილისა, იძულებულია მიიღოს საომარი მოქმედების ზონიდან დევნილი რუსეთის მოქალაქეები, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ბავშვები, ქალები და მოხუცებია. ამასთან, ქართული მხარე ეჭვობს, რომ ჩეჩნეთიდან ლტოლვილთა ნაკადი საქართველოს მიმართულებით რუსეთის მხრიდან ხელოვნურად არის ინსპირირებული, რათა საქართველოში შეიქმნას დესტაბილიზაციის დამატებითი კერა.

საქართველოს პარლამენტს მიაჩნია, რომ საერთაშორისო ტერორისტის ბენ ლადენის სახელის აბსოლუტურად დაუსაბუთებლად მოხსენიება საქართველოსთან მიმართებაში მიზნად ისახავს მსოფლიო საზოგადოების შეცდომაში შეყვანასა და საქართველოს შესახებ უარყოფითი აზრის ჩამოყალიბებას. ამასთან, უხერხულიცაა ოფიციალური მოსკოვის მიერ საქართველოს დადანაშაულება ტერორიზმის მხარდაჭერაში იმ დროს, როცა რუსეთი მფარველობს

საქართველოს პრეზიდენტზე თავდასხმის ორგანიზებაში ექვმიტანილ იგორ გიორგაძეს და სისტემატიურად უთმობს მას მასმედიის საშუალებებს.

ზემოაღნიშნული კიდეც ერთი დადასტურებაა იმ ორმაგი სტანდარტებით მოქმედებისა, რომელსაც ასე ხსირად მიმართავს რუსეთი საქართველოს ტანმიმდევრული პოლიტიკისაგან განსხვავებით. ორმაგი სტანდარტების საუკეთესო მაგალითია აგრეთვე რუსეთის პოლიტიკა აფხაზური აგრესიული სეპარატიზმის როგორც შექმნასა და გაღვივებაში, ისე მის სამხედრო-პოლიტიკურ მხარდაჭერაში.

საქართველოს პარლამენტი აბსურდულად მიიჩნევს რუსეთის მხარის მიერ წამოყენებულ ყველა ბრალდებას და გამოხატავს პროტესტს იმ აგრესიული აქციების გამო, რომელთაც იგი ჩეჩნეთის კონფლიქტის მოგვარების საბაზით ახორციელებს საქართველოს წინააღმდეგ: რუსული სამხედრო ავიაციის მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის მრავალგზის დარღვევა, საქართველოს ტერიტორიის დაბომბვა, ანტიქართული ისტერია რუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, რაც მხოლოდ ვნებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს და აძლიერებს უთანხმოებას მოსკოვში და თბილისს შორის.

საქართველოს პარლამენტი თვლის, რომ ბოლოდროინდელი საქართველოს წინააღმდეგ აშკარად მიზანმიმართული ქმედებანი, მათ, შორის, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ზემოაღნიშნული განცხადება, შესაძლოა ემსახურებოდეს ნიადაგის მომზადებას სერიოზული დესტაბილიზაციისათვის არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ სამხრეთ კავკასიაში. ამაზევე მიუთითებს, როგორც საქართველოს ხელთ არსებული ინფორმაციები, ისე მაღალჩინოსანი გენერლის ვიქტორ კაზანცევის მიერ ქ. მოზდოკში 21 დეკემბერს გაკეთებული განცხადება საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა წინააღმდეგ ტერაქტების სერიათა შესაძლო ორგანიზების შესახებ.

საქართველოს პარლამენტი გამოხატავს მტკიცედ პროტესტს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებასთან დაკავშირებით და იმედოვნებს, რომ რუსეთის ოფიციალური ხელისუფლება აღკვეთს ანტიქართულ კომპანიას, რაც შესაძლებელს გახდის ორი მეზობელი ქვეყნის კონსტრუქციულ და თანასწორუფლებიან თანამშორმლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტი აცხადებს, რომ მთელი პასუხისმგებლობა საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების გამწვავებაზე დაეკისრება რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას.

**თბილისი, 1999 წლის 24 დეკემბერი.**

**(საქართველოს პარლამენტის არქივი)**